**გილოცავთ, მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

# ბორჯომი

25 აგვისტო
ხუთშაბათი
2022 წელი
№34 (9244)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან


### ხანძარი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში

## იწვის ჩვენი ხეობის ეროვნული სიმდიდრე

**მეექვსე დღეა** ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სოფელ ქვაბისხევის ზორეთის მაღალი მთის მიდამოებში და სოფელ დგვარის მიმდებარედ ხანძარი მძვინვარებს.

უკანასკნელი პერიოდის უსაშველო სიცხეებმა, გამომშრალმა ჰაერმა, გამხმარმა ბალახმა თუ ფოთოლმა, ალბათ დაუდევარი და თავქარიანი ადამიანის უყურადღებობა-უპასუხისმგებლობამ, ტყეში გადაგდებულმა სიგარეტის ნამწვმა თუ ანთებული ასანთის ღერმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს.



ხანძარი მძვინვარებს, რომლის გაძლიერებას ხელი შეუწყო ქარმა. ხანძარს ებრძვის ასობით მეხანძრე-მაშველი და რეინჯერი, ოთხი ვერტფრენი, მძლავრი ტექნიკა, მაგრამ მიუდგომელ კლდეებზე, საცალფეხო გზა-ბილიკებით ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება ადამიანებისათვის ერთობ რთულია...

საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** განკარგულებით 22 აგვისტოდან სამხედრო ჯარის ნაწილების მობილიზებაც გახდა საჭირო, ახლა ერთიანი ძალებით ებრძვიან ხანძარს. ქვეყნის ყველაზე დიდი ეროვნული სიმდიდრეების გადარჩენა თითოეული ჩვენთაგანისათვის უპირველესი მოვალეობაა.

დღეს, როგორც არასდროს, ქუდზე კაცია საჭირო სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო-სამაშველო ძალების პირველი მორეაგირე ჯგუფები სოფელ ქვაბისხევის მიმდებარე ტყეში დაკვამლიანების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე გავიდნენ და ხანძრის ქრობის აქტიური სამუშაოები დაიწყეს.

რთული კლდოვანი რელიეფის გამო ვერ ხერხდებოდა ცეცხლის კერებამდე სახანძრო-სამაშველო ტექნიკის მიყვანა, მეხანძრე-მაშველებს მუშაობა ინდივიდუალური ალჭურვილობის საშუალებით უწევთ. ხანძრის გავრცელების რისკის გათვალისწინებით, ქრობის პროცესში თბილისიდან დამატებითი ჯგუფების გაგზავნის გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

მეხანძრე-მაშველებმა მდინარე მტკვარზე წყლის ტუმბოები დაამონტაჟეს და დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე წყლის მაგისტრალები გაიშალა, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ხანძრის ლოკალიზება.

ხანძრის ქრობის სამუშაოები გაძლიერებული ძალებით ხორციელდება. დამატებით მობილიზებულია 100-მდე სახანძრო ავტოტექნიკა. უწყვეტ მუშაობას განაგრძობს 1000-მდე მეხანძრე-მაშველი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით და ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებების ეფექტიანად განსახორციელებლად, პროცესში თავდაცვის ძალები ჩაერთნენ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ხანძრის ქრობის სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დროისთვის, ხანძრის ქრობის ღონისძიებებში ჩართულია 1000 მეხანძრე-მაშველი და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი.

24 აგვისტოს ხანძრის ქრობა დილიდან განაახლეს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენებმა.

ამ დროისათვის დასახლებულ პუნქტებზე ხანძრის გავრცელების საშიშროება მოხსნილია.

ადგილზე იმყოფებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლები, ასევე, თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

შექმნილია ოპერატიული მართვის შტაბი, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **იოსებ ჭელიძე** და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი, **თემურ მღებრიშვილი** ხელმძღვანელობენ.

ადგილზე მობილიზებულია ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 100 ერთეული სპეციალური და პირადი შემადგენლობის გადაასადგილებელი ავტოტექნიკა, მათ შორის მუხლუხებიანი სახანძრო სპეცტექნიკა (ყველგან მავალი სახანძრო-სამაშველო ტექნიკა), წყალმზიდები და მაღალი გამავლობის სახანძრო ავტომანქანები. ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებს აღმოსავლეთის სარდლობის I ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებიც შეუერთდნენ. სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ჯუანშერ**



**ბურჭულაძე,** შინაგან საქმეთა მინისტრი **ვახტანგ გომელაური,** სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრი **ოთარ შამუგია,** რომლებიც არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ.

24 აგვისტოს მონაცემებით დამწვარია 150 ჰა ტყის მასივი, ძლიერი ქარის გამო ხანძარი ახალციხის მიმართულებითაც გავრცელდა.

პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** დავალებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში გაჩენილი ხანძრის ლიკვიდირების მიზნით, შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები უწყვეტ რეჟიმში ახორციელებენ ხანძრის ქრობის სამუშაოებს.

**ვალერიან ლომიძე.**

## უსაფუძვლო ბრალდებები არ გვეკადრება

**19 აგვისტოს** ბორჯომში, სოფელ ზორეთის მიმდებარედ არსებულ ტყეში ხანძარი დაახლოებით საღამოს შვიდი საათისთვის გაჩნდა. მოსახლეობის მიერ განხორციელებული ზარის შემდგომ სახანძრო-სამაშველო სამსახურმა მაშინვე მოახდინა რეაგირება. სამწუხაროდ, რთული რელიეფისა და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ახლომდებარედ რამდენიმე კერა გაჩნდა და ხანძარმა სოფელ დგვარის მიმდებარედ არსებულ ტყის მასივებამდე მიაღწია. ჩვენდა სამწუხაროდ, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომ ყველა სიტუაციაში ცდილობს პოლიტიკური სარჩული მოუძებნოს ყველაფერს, ამაში ეჭვი არ შეგვპარვია.

ხანძართან დაკავშირებით გავრცელებულ საინფორმაციო წყაროებში იმდენი უხამსი და გულსატკენი კომენტარი შემხვდა, რომ სიმართლე გითხრათ, აღშფოთებას და გაოცებას ნამდვილად ვერ ვმალავ. სამწუხაროდ, პირველივე დღეებიდანვე მოქალაქეებმა უამრავი ნეგატიური კომენტარები დაწერეს. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს: **„ვედროებით აეტანათ წყალი, უფრო ჩააქრობდნენ“, „სანამ ტყე არ გადაწვეს, მანამ არ მოიყვანეს ვერტმფრენი“, „დარჩა კიდევ გადასაწვავი რამე?“, „ტყის მასივზე თუ გადავიდა, მერე ხუთი ვერტმფრენიც ველარაფერს უშველის“, „სანამ არ დაიბუგება ყველაფერი, არ იკადრებენ ჩაქრობას“, „სანამ კარგად არ მოეკიდა, მანამ არ გამოუშვეს ვერტმფრენები“, „სანამ არ გაძლიერდა და არ დაწვით, მანამდე არ გაინძერით. ალბათ ეგეც ვილაცას აწყობდა, რომ მერე თქვან დაიწვაო“, „გასკდა გული, მოითხოვეთ თურქეთის დახმარება, აბა უკრაინას ჩვენთვის არ სცალია“, „სად იყვნენ მეხანძრეები, მოსახლეობა, რომ საკუთარი ძალებით აქრობდა მთელი დღე ხანძარს“?** ეს და კიდევ უამრავი ათასობით კომენტარი შეგხვდებათ სოციალურ ქსელში ხანძართან დაკავშირებით და მეც და კიდევ ჩემსავით ვფიქრობ, რომ საღად მოაზროვნე მოქალაქეებს ამ კომენტარების ავტორებთან კითხვები გვექნება: -კი მაგრამ, ისეთ მიუდგომელ ადგილზე „ვედროებით“ მიტანილი წყლით როგორ ჩააქრობდნენ, ან სანამ არ დაწვეს და მანამდე არ ჩააქრეს, ეს რა პასუხია? ჯერ პირველ რიგში როგორც ინფორმაცია გავრცელდა მეხის ჩამოვარდნის შედეგად გაჩდა ხანძარი (იმ დღეს ცაზე ღრუბელი არ ჩანდა და მეხი როგორ ჩამოვარდა?!) თუმცა, მსგავსი შემთხვევის შედეგად ხანძარი არაერთხელ მომხდარა, ამბობენ გამოცდილი ექსპერტები.



მაგრამ უფრო სანდო წყაროები იმასაც ამბობენ, რომ ხანძრის გაჩენამდე ტყის მიმდებარედ იარაღის სროლის ხმა ესმოდა მოსახლეობას, როგორც ჩანს ნადირობდნენ, შემდეგ ნანადირევს გეახლნენ და სწორედ მას შემდეგ მალე შენიშნეს ხანძრის კერაც. იმაზე საუბარი, რომ მეხანძრე-მაშველებს რეაგირება არ მოუხდენიათ, ნამდვილად დეზინფორმაციაა და ცილისწამებაა. თუკი 20 აგვისტოს ჩარხისწყალზე მომხდარი ხანძრის კერის ლოკალიზება მალევე მოხდა, რაც ადგილმდებარეობის სიმარტივით იყო განპირობებული და რა თქმა უნდა, მაშველებმა ჩააქრეს მოსახლეობასთან ერთად, რატომ ცდილობთ, რომ მაშველებს დასწამოთ ცილი და მოსახლეობის ჩართულობა საკუთარ საცხოვრისთან გაჩენილი ხანძრის ქრობის პროცესში მონაწილეობის მიღების გამო უგულებელყოთ პირდაპირ გასაოცარია.

სწორედ ამაშია ჩვენი პრობლემაც, რომ სანამ საერთო საკუთრების მოფრთხილებას ისე არ ვისწავლით, როგორც საკუთარისას, მანამდე არაფერი არ გვეშველება და მტყუან-მართლის ძებნაში და სოციალურ ქსელში უაზრო, არაფრისმთქმელი კომენტარების წერას, ვისაც რითი შეგვიძლია ისე დავუდგეთ ერთმანეთს გვერდით, სწორედ მაშინ იქნება ყველაფერი რიგზე. მანამდე კი მადლიერების გრძნობა უნდა გაგვაჩდეს იმ ადამიანების მიმართ, ვინც მასშტაბურ ხანძარს დღედაღამ ებრძვის და მათ ჩვენი მხრიდან ნამდვილად დაფასება და გვერდში დგომა სჭირდებათ. უფალმა გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა და ულამაზესი ხეობა.

**ნატო მელიქიძე**

## საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი



**2022 წლის** 9,10 და 11 აგვისტოს, საქართველოს რკინიგზაზე, მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა. მოხდა მატარებლების მოძრაობის გადართვა ახალ მიმართულებაზე, გაიხსნა მე-11 გვირაბი და 3 ახალი ხიდი.

სამი დღის განმავლობაში რკინიგზის 500-მდე თანამშრომელმა 24 საათიან რეჟიმში იმუშავა.

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიულმა კავშირმა (თავმჯდომარე **გელა გელაშვილი)** გამოიჩინა ინიციატივა და ზემოაღნიშნულ პერიოდში, საკუთარი სახსრებით უზრუნველყო დასაქმებულთა სრულყოფილი კვება. აგრეთვე ახორციელებდა მეთვალყურეობას შრომითი უსაფრთხოების წესების შესაბამისად და სრულ კოლეგიალურ მხარდაჭერას.

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი ყოველთვის მზად არის მონაწილეობა მიიღოს მსგავსი პროექტების განხორციელებაში და სათანადოდ დაიცვას დასაქმებულთა შრომითი და პროფესიული ინტერესები.

## მსჯელობენ სურსათის უვნებლობის საკითხებზე

**სურსათის** ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა ბაკურიანში, სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების წარმომადგენლებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვის საკითხებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ გააქტიურებული ტურისტული სეზონის პირობებში უმნიშვნელოვანესია მაქსიმალურად იყოს დაცული სურსათის უვნებლობის დადგენილი სტანდარტები.



სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის სპეციალისტებმა ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს დეტალურად განუმარტეს HACCP-ის სტანდარტის დანერგვის, ობიექტის ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხები, ზოგადი ჰიგიენის წესები და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

აღინიშნა, რომ სააგენტო ღიაა რეგულარული თანამშრომლობისათვის, ეფექტიანი კომუნიკაცია კი ხელს უწყობს ბიზნესსექტორის ინფორმირებულობის გაზრდას და თანამედროვე სტანდარტების დანერგვას, რაც მომხმარებლის ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

საინფორმაციო შეხვედრა ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ჩართულობით, საზოგადოებრივი ცენტრის შენობაში გაიმართა.

## თავშესაფრის მაძიებლები

**საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა უახლოესი სამი თვის (მარტი, აპრილი, მაისი) მონაცემები გაავრცელა. ამ სამ თვეში საქართველოში თავშესაფრის მაძიებლად უცხოეთის 441 მოქალაქე დარეგისტრირდა, რაც დროის ამ მონაკვეთისთვის რეკორდული მაჩვენებელია. მათგან 242 უკრაინის მოქალაქეა, 34 – რუსეთის, 48 ირანის, 44 თურქეთის, 11 ეგვიპტის. 441-დან ლტოლვილის სტატუსი 8 უცხოელმა მიიღო. მათ შორის 4 ავღანეთის მოქალაქეა, 1 – ეგვიპტის, 1 – სირიის, 2 კი დაუდგენელი მოქალაქეობის. ჰუმანიტარული სტატუსი მიაკუთვნეს 201 უცხოელს, მათ შორის, უმეტესობა 185 უკრაინის მოქალაქეა, 7 ავღანეთის, 3 – იემენის, 3 – სირიის.**

**სტატუსზე უარი ეთქვა 238 მოქალაქეს. მათგან 13 რუსეთის, 7 ირანის, 38 – იორდანიის, 20 ერაყის და 19 თურქეთის მოქალაქეა. ამავე პერიოდში საქართველოდან გააძევეს უცხოეთის 53 მოქალაქე.**

### სადღეისო თემაზე

# ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის დეფიციტია?!

**დიდად** სამწუხაროა, რომ დღეს ქვეყანაში მიმდინარეობს ნამდვილად აღვირახსნილი, ყოველგვარ პოლიტიკურ თუ დიპლომატიურ ეთიკას, რაციონალურ მსჯელობას მოკლებული და ფართოდ გაშლილი სრულიად ოდიოზური დისკუსია, იმის თაობაზე, რათა მმართველმა პარტიამ და რადიკალურმა ოპოზიციამ ერთობლივად შეიმუშაონ თუ არა ევროკომისიის მიერ საქართველოსათვის გამოგზავნილი 12 პუნქტიანი რეკომენდაციაში ჩამოყალიბებული ფუნდამენტური მოთხოვნები.

საზოგადოების დიდი უმრავლესობა გმობს ევროკავშირის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტისადმი ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის აგდებულ, დამამცირებელ დამოკიდებულებას, რადგან ქართველ პოლიტიკოსთა გამოსვლებში ჭარბობს დემაგოგია, სიჯიუტე, პოლიტიკური უმწიფრობა, ფსევდოპოლიტიკური, რაციონალურობას მოკლებული სახელმწიფოებრივი აზროვნება. როგორც ჩანს, რადიკალურ ოპოზიციის ლიდერებს არ ესმით დეპოლარიზაციის მნიშვნელობა, ამასთან დაავიწყდათ და უგულებელყვეს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის უზენაესი დოკუმენტია.



ისმის მარტივი და ამასთან მეტად საპასუხისმგებლო კითხვა, რას ითხოვს ევროკავშირი საქართველოსაგან? ბევრს არაფერს, ელემენტარულ პოლიტიკურ კულტურას, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების პოლიტიკურ პარტიების ერთობლივად მოქმედებას, რიგითი მოქალაქეების ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მოქმედმა პოლიტიკურმა წრეებმა ევროპის რეკომენდაციებში ნახსენები ტერმინი „დეპოლარიზაციის" არსი და მნიშვნელობა ვერ განსაზღვრეს, არადა ეს სიტყვა, მეტად რბილადაა ნათქვამი. რეალურად ჩვენში სამოქალაქო დაპირისპირებაა და არც საფუძვლიანი პროგნოზის შემფასებელი ჩანს, პოლიტიკური ექსპერტებისა და მიმომხილველებისაგან არ ისმის მოვლენების ობიექტური შეფასება.

ან რა გვიკვირს, ჩვენი ბედკრული სამშობლო ხომ ის იშვიათი ქვეყანაა, **სადაც სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი მუდამ შეინიშნებოდა. უკომპრომისობა პოლიტიკოსის ღირსების შელახვად, შეთანხმების მცდელობა კი ღალატად ითვლებოდა.** ხომ გახსოვთ ქართველთა „ბრძნული" გამონათქვამი: **„უჩემოდ ვით იმღერეთა".** ასეთი დამოკიდებულებიდან დასკვნები დღემდე არ გამოგვიტანია და შედეგიც სახეზეა. **ზემოთ ნათქვამი ფრაზა კი წყევლასავით მოყვება ქართულ სახელმწიფოს. ასეთი პოლიტიკური ცნობიერების მქონე ქვეყანას რომ ევროკავშირში არ მიიღებენ - ფაქტია.**

**ევროკავშირის წარმომადგენლები ჩვენგან ითხოვენ ელემენტარულ პოლიტიკურ კულტურას, რომელიც როგორც ჩანს, ძალიან აკლიათ ჩვენში არსებულ 250 პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენლებს.** ამიტომაც იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ქალბატონმა კელი დეგნანმა განაცხადა: **„საქართველოს მომავალს აფერხებენ პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც უფრო მეტ დროს ხარჯავენ ერთმანეთზე თავდასხმაში, ვიდრე საქართველოს მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობაში". ჩვენებურად რომ ვთქვათ, ეს ყველაფერი დაბალი პოლიტიკური კულტურის შედეგიაო.**

**ისმის რიტორიკული კითხვა, საიდან უნდა მოვიდეს მაღალი პოლიტიკური კულტურა?** ჩვენი პოლიტიკოსები განვლილი 30 წლის მანძილზე ხომ ქუჩის აქციებზე იზრდებოდნენ, ახლა ხომ მაინც ვხედავთ, ამ ხნის მანძილზე როგორი დონის პოლიტიკოსები გვყავს. (პოლიტიკური კულტურა ბევრს მასების კულტურული გართობა ჰგონია). სამწუხაროდ, ამ ეროვნულ თვითმკვლელობაში ჩართულია პოლიტიკური პარტიები, პარტიული მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტჯგუფები, ე.წ. ექსპერტები, რომლებსაც ერთი სერიოზული გამოკვლევაც არ დაუწერიათ პოლიტიკური კულტურის მიზნებსა და ამოცანებზე. სამაგიეროდ **მოგვიმრავლდნენ ძალაუფლების მოყვარულნი და მატერიალური სარგებლის მომხვეჭელი, უკიდურესად თავხედი ადამიანები.**

როგორც ცნობილი მწერალი **კოტე ჯანდიერი** წერს - **მოგვიმრავლდნენ პოლიტიკური აზროვნების უაღრესად დაბალი პოლიტიკური დონის ადამიანები, რომლებსაც უჭირთ ჯანსაღ დისკუსიაში მონაწილეობა.**

ბანალური ჭეშმარიტებაა, ქვეყანაში, სადაც არ არსებობს მეცნიერება და შესაბამისად მეცნიერული, არგუმენტირებული აზროვნების კულტურა, იქ შეუძლებელია არსებობდეს გამოცდილებაც, რადგან აღარ არსებობს ხალხი, ვინც აღზრდის და ასწავლის თანამედროვე აზროვნებას.

სამწუხაროდ, პოლიტიკური ანალიზის ცენტრებიც არ გვაქვს. **ვის შეუძლია ამიხსნას როგორ პოლიტიკას გაატარებს ევროკავშირი კავკასიაში, რამდენად ექნება სურვილი და შესაძლებლობა დახმარების ხელი გაუწოდოს 2 ათასი კილომეტრით მის საზღვრებს დაცილებულ საქართველოს?**

ამ საკითხებზე ნამდვილად ღირს დაფიქრება. და კიდევ ერთი, **„ფრთხილად ქართველებო, ჩვენ ობოლი ერი ვართ"! გაგვაფრთხილა სულმნათმა ჭაბუა ამირეჯიბმა.**

**დრო შეიცვალა, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება იწყება, ვინძლო მსოფლიო რუკიდან ჩვენი კურთხეული სამშობლო - საქართველო არ გაქრება.**

**ვალერიან ლომიძე**

### ნეტავ ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!

# რედაქციის ეზოს უცხოტომელები შემოესიენ!

**გაზეთ** „ბორჯომის" რედაქცია ფალიაშვილის ქუჩაზე, ყოფილი კომისარიატის შენობაში მდებარეობს. ამავე შენობაშია ბორჯომის სატყეო და ვეტერანების სამსახურიც. შენობას გვერდით ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ესაზღვრება, შენობის ნახევარი დაცვის პოლიციას უკავია. სამუშაო საღამოს 6 საათზე მთავრდება და შენობა იკეტება. თუმცა, როგორც ჩანს, სწორედ საღამოს საათებში იწყება აღნიშნული შენობის ეზოში ბორჯომელი ახალგაზრდების ცხოვრება-პიკეტირება. მყუდრო ეზოში, სუფთა ჰაერზე, ვენახის ხეივნის ქვეშ ჯდომას ვერავის დაუშლი, თუმცა, როდესაც აღნიშნული ახალგაზრდები ეზოს ტერიტორიას ანაგვიანებენ, აქ უკვე გაჩუმება, ნამდვილად აღარ შეიძლება. სიგარეტის ნამწვით, ჩიფსის პაკეტებით, უმწიფარი ყურძნის მტევნებით, მზესუმზირის ნარჩენებით, სპირტიანი, თუ გაზიანი სასმელების ცარიელი ბოთლებით გვხვდება სავსე როგორც ეზოში მდგარი ნაგვის ურნები, და მის გარშემო არსებული ტერიტორიაც. სამწუხაროდ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან დამონტაჟებული სათვალთვალო კამერები მხოლოდ გარკვეულ პერიმეტრს აფიქსირებს არსებული შენობის ირგვლივ. სწორედ აქედან გამომდინარე, რთულია გაარკვიო, რა ასაკის ახალგაზრდები არიან ეზოს ყოველდღიური სტუმრები. გაზეთ „ბორჯომის" რედაქციამ საშველად არაერთხელ მიმართა მეზობლად მყოფ პოლიციიის ხელმძღვანელობას, რომ საღამოს საათებში რეიდები მოეწყოთ და არსებულ ტერიტორიაზე დაეფიქსირებინათ აქ არსებული სიტუაცია. თხოვნის მიუხედავად, ვითარება არ შეცვლილა. დაბინძურებული ტერიტორია ისევ რედაქციის მუშაკთა დასასუფთავებელია.

ისმის კითხვა - ნუთუ მშობლებს არ აინტერესებთ, სად არიან მათი მცირეწლოვანი შვილები ღამის 2-3 საათებში?! რეალურად ხომ აღნიშნულ ტერიტორიაზე შორს მაცხოვრებელი ხომ არ მოვა? ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, სწორედ ახლომდებარე ქუჩების მცხოვრები ახალგაზრდები სტუმრობენ რედაქციის ეზოს და მის წინ არსებულ ხუთსართულიან საცხოვრებელი ბინის სადარბაზოებს და სარდაფებს. ეს ადგილები სერიოზულად დაბინძურებული და აქოთებულია.



ახალგაზრდების თავგასულობით და ხმაურით ბინის მაცხოვრებლებს არაერთხელ გამოუთქვამთ პრეტენზია, მაგრამ როგორც ჩანს, ამ ახალგაზრდებზე შეგონება და ჭკუის დარიგება არ ჭრის. ნამდვილად სამარცხვინოა, რომ წინა დღით დანაგვიანებული და უკვე რედაქციის თანამშრომლების მიერ დასუფთავებული ტერიტორია, მომდევნო დღეს ისევ დანაგვიანებული ხვდებათ. ნეტავ სინდისი თუ აწუხებთ? ნუთუ ოჯახებში არ იზრდებიან? ნუთუ, ესაა თანამედროვე თავისუფლება თუ თავგასულობა! მშობლებო, მოგიწოდებთ, მიხედეთ შვილებს!

**P.S. სანამ სხვის საკუთრებას ისევე არ მოუფრთხილდებით, როგორც საკუთარს, ჩვენი საშველი არ იქნება.**

**ნატო მელიქიძე**

### მოვლენების კვალდაკვალ

# კელი დეგნანის „საქმენი საგმირონი"

**მიმდინარე** წლის ივნისში საქართველოს პარლამენტის „ქართული ოცნების" სამმა წევრმა: **მიხეილ ყაველაშვილმა, სოზარ სუბარმა და დიმიტრი ხუნდაძემ** გაგვაოცეს თავისი გადაწყვეტილებით: ისინი „ქართული ოცნებიდან" გამოვიდნენ (თუმცა პარლამენტის წევრებად დარჩნენ). თავისი გადაწყვეტილება მათ ასე ახსნეს: პარტიულობა გვბოჭავდა, ახლა ქართველ ხალხს მეტ სიმართლეს ვეტყვით. „ჩვენი მიზანია, იმ სცენარის პრევენცია, რომელმაც საქართველო არეულობამდე, ომამდე და რუსულ სამხედრო ოკუპაციამდე უნდა მიიყვანოსო".

გადაწყვეტილებიდან რამდენიმე დღეში მიხეილ ყაველაშვილმა სრულიად ლეგიტიმური კითხვებით (და საკმაოდ თავაზიანად) საჯაროდ მიმართა აშშ-ს ელჩს, საქართველოში ქალბატონ კელი დეგნანს. იგი ელჩს სთხოვდა ეპასუხა შემდეგ კითხვებზე: რატომ არ ემიჯნებით ქვეყნის მტრებს: ნაცმოძრაობას და მის დამქაშებს, სხვა ოპოზიციურ პარტიებს და ოპოზიციის „თავხედ" ტელევიზიებს, რომლებიც რუსთაველზე მოწყობილ მიტინგებზე ითხოვენ მთავრობის გადადგომას და ე.წ. „ტექნიკური მთავრობის" შექმნას; ოფიციალურად რატომ არ გმობთ ნაცმოძრაობის, აგრეთვე არასამთავრობების (მაგალითად, **ეკა გიგაურის**) მოწოდებებს საქართველო ჩაერთოს რუსეთ-უკრაინის ომში; რატომ ჩაერია თქვენი წარმომადგენელი მოსამართლე **ლაშა ჩხიკვაძის** გადაწყვეტილების საქმეში, როცა მან ნიკა გვარამიას სამ წელზე მეტი ხნით პატიმრობა შეუფარდა და ა.შ.

ქალბატონი **კელი დეგნანის** პასუხები სატელევიზიო ინტერვიუებში მართლაც გამაოგნებელი იყო: იგი ტყუილებს და დეზინფორმაციას უწოდებს ყაველაშვილის წერილში მოყვანილ ფაქტებს, თანაც უტიფრად დასძინა: წერილი ბოლომდე არ წამიკითხიაო. აი, როგორ აფასებენ ელჩის პასუხს ქართველი პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები:

„მე ველოდი პასუხებს და მივიღე ხალხისგან არჩეული დეპუტატის შეურაცხყოფა... ამ პასუხმა შეურაცხყო მთლიანად ქართველი ამომრჩეველი" **(დიმიტრი ხუნდაძე)**.

„მათ მიაჩნიათ, რომ შეუძლიათ ჩაერიონ შიდა პოლიტიკურ პროცესებში, სადაც წესით, არ უნდა ერეოდეს ელჩი, რადგან ეს ქვეყნის სუვერენული საქმეა. გასაგებია, რომ მათ ფული ჩადეს ამაში და თვლიან, რომ აქვთ უფლება. მაგრამ მათი რიტორიკა, ისე გამოიყურება, რომ ისინი დირექტივებს გვაძლევენ" **(ზაალ ანჯაფარიძე)**.

„აშშ-ს ელჩი არღვევს დიპლომატიური ქცევის ეთიკას" **(სოსო მანჯავიძე)**.

- ქ-ნი ელჩი ყაველაშვილის წერილზე ამბობს: „რუსული ნარატივიაო", კარგი მეთოდია, ღმერთმანი! თუ „დასავლელს" შეურაცხყოფაზე, ტყუილზე, ცილისწამებაზე, არსამართლიან გამოხტომებზე თავს არ წაუხრი და ფეხქვეშ არ გაეგები, რუსული ინტერესის გამტარებლის იარლიყი არ აგცდება... **საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ახალ ეტაპზე გადადის, საქართველო არავის კოლონია აღარ იქნება!.** **(ბიძინა დვალი)**.



ინტერპრესნიუსთან ინტერვიუში ქ-ნი ელჩი ამბობს: - დასავლეთს არასდროს უცდია საქართველოს ომში ჩათრევა. გვინდა, რომ ამ ნათქვამის გვჯეროდეს, მაგრამ იქვე ამბობს: - „ჩვენ ვმუშაობთ, რომ უკრაინაში ომი დასრულდეს, რაც შეიძლება სწრაფად"... **ეს უკვე ნამდვილად სიმართლეს არ შეესაბამება,** რადგან ამერიკა უკრაინისადმი იარაღის მიწოდებას უფრო და უფრო აძლიერებს (თანაც შორსმსროლელი საარტილერიო დანადგარებით) და რუსეთისა და უკრაინისთვის არასოდეს მიუმართავს: მოლაპარაკების მაგიდასთან დასხედითო!

ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში ქ-ნმა კელი დეგნანმა განაცხადა: - საქართველოს დასახმარებლად შტატებს 6,5 მილიარდი დოლარი აქვს გაღებულიო. სად წავიდა ეს ფული? მე ვიცი, რომ ამერიკიდან ყოველ წელში შემოსული 200-300 მილიონი დოლარიდან 90 პროცენტი ხმარდება არასამთავრობოების დაფინანსებას. ისინი კი რადიკალური ოპოზიციის გვერდით დგანან და პერმანენტულად თავს ესხმიან საქართველოს არსებულ ხელისუფლებას. სავსებით ვეთანხმები ბიძინა დვალის მოსაზრებას: „ქართული ოცნებიდან" წამოსული დეპუტატები, დარწმუნებული ვარ, მალე თავად მივლენ იმ კონდიციამდე, როცა აუცილებელი გახდება და დღის **წესრიგში დადგება დესტრუქციული, არეულობაზე ორიენტირებული ანტისახელმწიფო სუბიექტების დაფინანსების აკრძალვის მოთხოვნა!"**

დავამატებდი იმასაც, რომ რადგან აღნიშნული დეპუტატები მზად არიან ხალხს უფრო მეტი სიმართლე უთხრან, გამოიკვლიონ, კონკრეტულად სად დაიხარჯა ზემოთნახსენები 6,5 მილიარდი დოლარი? იქნებ საქართველოსთვის დახმარებად თვლიან მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს გამოყოფილ კრედიტებს, რომლებიც ისევ ჩვენი გადასახდელია?

„ქართული ოცნებიდან" წამოსული „სამი მუშკეტერის" (შემდეგ მათ მეოთხეც მიემატა) ამერიკის ელჩისადმი ორი ღია წერილი ამერიკაზე თავდასხმად გამოაცხადეს როგორც „ჩვენმა" არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ნაცებმა, აგრეთვე „ვაშინგტონის კრემლის" პრესპიკერმა **ნედ პრაისმა,** აგრეთვე საქართველოს „მტრებმა": **კრამერმა,** ყოფილმა ელჩმა **იან კელიმ** და სხვებმა. ერთი სიტყვით, „ვაშინგტონმა თითი დაგვიქნია"! ეს კი მეტად საშიშად მიაჩნია პუბლიცისტ **იაკობ ლეჟავას,** რომელიც წერს, რომ მსოფლიოში ერთპოლუსიან ჰეგემონ შტატებს არავისთვის შეურჩენია მათზე „თავდასხმა" და ქართველი ხალხი ძალიან ფრთხილად უნდა იყოსო. **ეს რჩევა ნამდვილად მისაღებია!**

ბევრ ქართველ ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა მიმდინარეობდა ოთხი მიმართულებით: **რუსეთისადმი სანქციების დაწესება, მოხალისეების გაგზავნა, საჰაერო სივრცის ჩაკეტვა და რუსეთთან ომში ჩართვა, ანუ „სოხუმსა და ცხინვალში გასეირნება".** ჯერჯერობით ირაკლი ღარიბაშვილმა ოთხივე ამ საშიშროებას აგვარიდა, (რითაც დიდი გამბედაობა გამოავლინა), როცა განაცხადა: „ჩემი მბრძანებელი ევროპარლამენტი კი არ არის, არამედ ქართველი ხალხიაო!" ეს საშიშროებები „კოლექტიური დასავლეთისგან" ჯერ კიდევ არსებობს. ახლა კი ქვეყნის შიგნით „მეხუთე კოლონა" რუსი ტურისტების შემოსვლის შეზღუდვასაც მოითხოვს, რითაც საშიშროება ექმნება რუსეთში მცხოვრებ ემიგრანტ ერთ მილიონამდე ქართველს! ქვეყნის მტრები არ ისვენებენ.

ყველას გვაინტერესებს 21 მარტს ბიძინა ივანიშვილთან მისული კელი დეგნანის საუბრის შინაარსიც, რომელიც თურმე სამ საათს გაგრძელდა. ეს შეხვედრა ელჩმა დამალა და ბატონმა ბიძინამ კი გაახმოვანა) ელჩი ამბობს: მხოლოდ შტატების და საქართველოს ურთიერთობაზე ვილაპარაკეთო, რაც ნაკლებ დასაჯერებელია. სავარაუდოდ, ამერიკის მთავრობის სახელით ელჩმა ბიძინას მოსთხოვა რუსეთისათვის სანქციების დაწესება, რაც უარყოფილი იქნა ივანიშვილისგან. ამით ბატონმა ბიძინამ თავისი მილიარდები გაწირა ქართველი ხალხისათვის!

ეს თავისებური გმირობაა. თავის განცხადებაში, ბატონმა ბიძინამ აღნიშნა, რომ საქართველოს პოზიცია უკრაინის ომთან დაკავშირებით პირდაპირ კავშირშია ევროპულ ბანკებში არსებულ ჩემს თანხებთანო. ერთ ბანკს სასამართლო მოუგო, ახლა მეორეს ჯერია...

ასე „ჩუმად" ებრძვიან საქართველოს ერთ წრედ შეკრული: ამერიკა, ევროკავშირი, ევროპარლამენტი, სხვადასხვა ბანკი და ქვეყნის შიგნით არსებული რადიკალური ოპოზიცია. მათ შორის, რასაკვირველია, ჩართულია ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორის" ელჩი ქალბატონი კელი დეგნანი. სამწუხაროა რაიც!

**უჩა არაბულიძე**

**P.S. ბატონ მიშა ჩხიკვაძის გარდა კიდევ ხუთმა მოსამართლემ განაცხადა, რომ მათზე ზეწოლას ახდენდნენ ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები(!) ასევე შარშანდელი 5 ივლისის აქციაზე ჟურნალისტებზე თავდასხმაში ეჭვმიტანილების სასამართლო პროცესებზე მუდამ ესწრებოდა ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი. ალბათ, მათი ზეწოლის გამო გამოუტანეს ამ ქვეყნის და ქართული ზნეობის და ტრადიციების დამცველ 20-ზე მეტ ახალგაზრდას ძალზე მკაცრი სასჯელი: თითოეულს 5 წელი. ესეც, რასაკვირველია, სამწუხაროა!**

## ქართული მართმადიდებლური დღესასწაულები

# მარიამობა

**არქიმადრიტი იერომიელი (ფილიშვილი)**

**ღვთისმშობლის** მიძინების დღესასწაული, ანუ მარიამობა, როგორც მას ჩვენში ეძახიან, გახლავთ ერთ-ერთი დიდი საეკლესიო დღესასწაული, „თორმეტთაგანი“. როგორც მას ეკლესიურად მოიხსენიებენ.

მარიამობას წინ უძღვის ორკვირიანი მარხვის დღეები და ეს მარხვა მკაცრ მარხვად ითვლება, რამდენადაც ამ დროს არ არის დაშვებული თევზის ხმევა, როგორც, მაგალითად, ამას ვხვდებით შობის მარხვაში. ყოველი მარხვა, გარდა ფიზიკურად საკვების შეზღუდვებისა, მოითხოვს სულიერ კონცენტრაციასაც, საკუთარ თავში ჩაღრმავებას, ამასოფლური საქმეებისა და თვით ჩვენი მოღვაწეობის პირუთვნელ შეფასებას საუფლო სწავლებების ფონზე, ანუ ერთგვარ გარე დაკვირვებასა და გვერდიდან საკუთარი ნათქვამისა და ნამოქმედარის ხედვას. მარხვას თან ახლავს ლოცვების გაძლიერებაც და ლოცვა და მარხვა ერთად აღებული, მამათა სწავლებით, ის ორი ფრთაა, რომელიც ზეციურ აღმაფრენას ანიჭებს ადამიანებს.



**მარიამობის დღესასწაული უშუალოდ უკავშირდება დედა ღვთისმშობლის მიცვალებას, ანუ მიძინებას, როგორც ეს რეალურად მოხდა მისი ამა ქვეყნიდან გასვლის ჟამს. მაცხოვრის ზეცად ამაღლების შემდეგ, ღვთისმშობელი იყო დიდი ნუგეში მოციქულებისათვის, ხოლო უფლის გამორჩეულად საყვარელი მოწაფეებისათვის, იოანე მახარებლისათვის, ის ნამდვილად დედადაც იქცა, თანახმად უფლის სიტყვებისა, რომელიც მან ჯვარზე მიმსჭვალულმა წარმოთქვა, როგორც ჭეშმარიტად მშობელ დედაზე მზრუნველმა შვილმა – „აჰა, დედა შენი“. იოანე ღვთისმეტყველმა იტვირთა ზრუნვა მარიამ ღვთისმშობელზე და სიონზე, საკუთარ სახლში გადაიყვანა საცხოვრებლად. იმდენად დიდი და განსაკუთრებული იყო ღვთისმშობლის სულიერება, თავმდაბლობა, ურთიერთობისა და საუბრის სვეტი ეკლესიისა, როგორც წმინდა დიონისე არეოპაგელია ამბობდა: – „რომ არ მცოდნოდა ქრისტეს ღმერთობა, ღვთისმშობელს ვიწამებდი ღმერთადო“.**

ღვთისმშობელს უყვარდა განმარტოვებით ლოცვა იმ ადგილებში, სადაც თვითონ უფალი განმარტოვდებოდა ხოლმე. იგი ცხოვრობდა ქრისტიან ქალწულებთან ერთად, როგორც თავად იყო მარადის ქალწული და დედა. ყველა დაბადებულს წინ ელის გარდაცვალება და დედა ღვთისმშობელიც განსაკუთრებით ემზადებოდა ამ დიადი მოვლენისათვის. კაცობრიობისათვის სიკვდილი გლოვის საგნად და ერთგვარად ცხოვრების სამუდამოდ დასრულების სიმბოლოდ იყო ქცეული, ხოლო მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის შემდეგ იგი ნეტარებისა და მარადიული ცხოვრების კარიბჭედ იქცა.

**ღვთისმშობელმა ამქვეყნიდან გასვლის წინ ორი რამ სთხოვა თავის ძესა და ღმერთს: პირველი ის იყო, რომ მისი სიკვდილის სარეცელთან მოსულიყვნენ და შეკრებილიყვნენ უფლის მოციქულები, რათა საბოლოოდ დაელოცა ისინი და გამომშვიდობებოდა; მეორე – რათა საზვერეებზე გასვლის ჟამს ბოროტი დემონების უგვანო სახეები არ ეხილა. ორივე ეს თხოვნა შეუსრულა მოწყალე უფალმა. უფლის მოწაფეები აღტაცებული იქნენ თავიანთი სამოციქულო მსახურების ადგილებიდან და შემოიკრიბნენ ღვთისმშობლის სარეცელთან, რათა საბოლოო პატივი მიეგოთ თავიანთი მოძღვრისა და ღმერთის დედისათვის და, ადამიანთა წესისამებრ მიეჩინათ მისთვის საბოლოო განსასვენებელი. აქ სასწაული ისიც იყო, რომ მოციქულთაგან მოწამეობრივად აღსრულებილნიც გამოხმობილნი იყვნენ მკვდართაგან და მიეახლნენ დედა ღვთისმშობელს. ესენი იყვნენ ანდრია პირველწოდებული, ფილიპე, ლუკა მახარობელი, სვიმონ კანანელი და თადეოზი.**

**მარიამ ღვთისმშობელმა დალოცა და აკურთხა ყველა მოციქული და ერთობლივი ლოცვისა და ფსალმუნების ჟამს ყოველგვარი სასიკვდილო შფოთისა და აგონიის გარეშე მიიძინა. ამ დროს ოთახი, სადაც ღვთისმშობელი ესვენა, მზე უკაშკაშესად გაბრწყინდა, რაც ნიშანი იყო თავად უფლის მობრძანებისა. ღმერთმა და უფალმა, თავად მიირქვა დედის სული და შეუძღვა მას სასუფევლის სავანეებში.**



**მოციქულებმა ღვთისმშობელი ანგელოზთა გალობით გააცილეს: – „გიხაროდენ მომადლებულო, უფალი შენთანაა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“.**

ღვთისმშობლის წმინდა სხეული გადასვენებულ იქნა გეთსამანიის ბაღში, მისი მშობლების საგვარეულო ძვალთშესალაგში და იქვე დაკრძალული ებრაელთა წესისამებრ, ანუ დასვენებული ღვიმეში, ქვის სარკოფაგში და დაგმანული ლოდით. ღვთის განგებით კი მოხდა ისე, რომ თომა მოციქული ვერ დაესწრო დაკძალვას და იგი დაკრძალვიდან მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა. მისი დიდი თხოვნა იყო, რომ გაეხსნათ აკლდამა, რათა მასაც ჰქონოდა საშუალება პატივი მიეგო უფლის დედისათვის. გახსნის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ სარკოფაგი ცარიელი იყო, ანუ ღვთისმშობელი ხორციელადაც იქნა აღტაცებული ზეცაში, იმ დიდებაში, რაც მორწმუნე ადამიანთა სამომავლო ხვედრია.

**ამდენად, დედა ღვთისმშობელი, პირველივეა ადამიანთა შორის, რომელსაც უკვე წილად ხვდა ეს პატივი თავის ძისა და ღმერთის მიერ.**

**ყველა მორწმუნისათვის მარიამობა, ღვთისმშობლის მობრძანების დღესასწაული განსაკუთრებული მოლოდინითა და სიხარულით აღინიშნება. არც ისაა შემთხვევითი, რომ მიძინების სახელზეა ნაკურთხი მსოფლიოში მართლმადიდებელ მონასტერთა უმრავლესობა, ბორჯომში კი ასეთი ტიმოთესუბნის მამათა მონასტერია. არათუ მხოლოდ ქრისტიანები, ადამიანები მიაგებენ პატივს დედა ღვთისმშობლის მიძინებას, არამედ ადამიანთათვის ისეთი სახიფათო არსებები, როგორიც შხამიანი გველებია, საბერძნეთში, კეფალონიაში, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე, ადამიანებთან ერთად გველებიც იკრიბებიან ღვთისმშობლის ტაძარში და ხატებზე აცოცებულნი ადამიანებთან ერთად განადიდებენ ზეციურ დედოფალს.** დღესასწაულის სიდიადე ამ შხამიანი არსებებისათვისაც კი მეტამორფოზის საწინდარია და გველები უმანკო კრავებივით იქცევიან. ამავე დღეს სხვა, არანაკლები სასწაულიც ხდება. ტაძარში ცოცხლდებიან შროშანების გამხმარი ღეროები. ეს ის შროშანებია, რომლებსაც ხარების დღესასწაულზე მიართმევდნენ ხოლმე ღვთისმშობელს. შემდეგ, ოთხი თვის განმავლობაში, უკვე გამხმარ მდგომარეობაში ელოდებიან ზეციურ მოხილვასა და მეორე სიცოცხლის შთაბერვას.

ასე იდიდება დედა ღვთისმშობელი, არა როგორც მხოლოდ ქალწული და დედა, სიცოცხლის მომცემი, არამედ როგორც მშობელი მარადიული სიცოცხლისა, რომელიც კაცობრიობას მოუტანა მისმა ძემ და ღმერთმა, თავად სიცოცხლემ და უკვდავებამ.

**ბორჯომის რაიონში მარიამობა განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნება ტიმოთესუბნის მამათა მონასტერში, რომელიც მიძინების სახელობისაა. ამ დღეს, აქ იყრის თავს რაიონის მოსახლეობის უმრავლესობა და დილიდან, საღმრთო ლიტურგიიდან მოყოლებული არ წყდება აქ ხალხის ნაკადი.**

**უფალო, გევედრებით, ღვთისმშობლის მეოხებით, შეისმინე აქ მოსულთა და მთხოვნელთა ლოცვა-ვედრება და ულხინე შენს ერს, დღეისათვის დამცრობილსა და შევიწროებულს მტერთა და მომხდურთა მიერ.**

## SOS

## მემორიალს მეტი ყურადღება სჭირდება

**ახალდაბაში** 40 წლის წინათ იმდროინდელი ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით და რაიონის ხელისუფლების მხარდაჭერით მოეწყო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ შინმოუსვლელთა მემორიალი და თითოეული დაღუპული ახალდაბელის სახელზე დაირგო 145 ნაძვის ახალგაზრდა ხეები.

მემორიალის გახსნის ცერემონიალში აქტიურად მონაწილეობდა რაიონის მოსახლეობა, მრავალი სტუმარი თბილისიდან, მოსკოვიდან, სტალინგრადიდან...

მას შემდეგ მემორიალზე თითქმის ყოველ წელს იმართებოდა შეხვედრები როგორც ომის ვეტერანებთან ისე მოსწავლე ახალგაზრდობასთან.

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ წლებში მსგავსი ღონისძიებები იშვიათობა გახდა. უდიერი ახალგაზრდებისგან სისტემატიურად ზიანდებოდა მემორიალი. ჯერ გაქრა ფერად ლითონში ჩამოსხმული სკულპტურული პორტრეტი და დაღუპულთა გვარსახელები, შემდეგ ძვირფასი თლილი ქვებიც მოიპარეს. რამდენიმე წელია რაიონის ხელმძღვანელობამ შეძლო გამოენახა ფინანსები და დაიწყო მემორიალის აღდგენის სამუშაოები, რკინის მესერით შემოილობა ტერიტორია, აღდგა დაღუპულთა გვარ-სახელები, დაიდგა საბავშვო ატრაქციონები, ანდეზიტის ქვით მოპირკეთდა მემორიალამდე მისასვლელი გზა. მაგრამ მშენებლობის ნაწილი უხარისხოდ შესრულდა. ყინვების დროს ჩამოიფშვნა მემორიალის ძირითადი ნაწილის კედლების ბათქაში და სხვა.

სხვათა შორის ეს ადგილი ახალდაბელთა სტუმარ-დამსვენებელთათვის შესანიშნავი დასასვენებელი ადგილიცაა, მაგრამ რად გინდა, საბალე სკამების დიდი ნაწილი დაზიანებულია და მასზე ჩამოჯდომა პრობლემას წარმოადგენს.

დღევანდელ ახალგაზრდებსაც და ძველგაზრდებსაც მინდა შევახსენო, მემორიალის აშენების იდეა, არცთუ უსაფუძვლოდ, ახალდაბაში მცხოვრები შოთა აბრამაშვილს და მის ძმებს ეკუთვნით. მათ მოიპოვეს უტყუარი დოკუმენტები, უმცროსი ძმის ნიკოლოზ აბრამაშვილის გმირული საბრძოლო მოქმედებების შესახებ და რაიონის და რესპუბლიკის ხელმძღვანელების წინაშე დააყენეს საკითხი ახალდაბაში სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად მემორიალის დადგმის შესახებ. აშენებული მემორიალი, რომლის



ძირითადი ლაიტმოტივი იყო 1942 წელს სტალინგრადის ცაზე ალმოდებული მფრინავის ნიკოლოზ აბრამაშვილის გმირობა და ახალდაბელ მებრძოლთა თავგანწირვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მემორიალი მშვენიერი გამოვიდა, დრო-ჟამმა და ავისმქმნელებმა მემორიალი გააპარტახეს, უვნებელი მხოლოდ ცაში აზიდული ნაძვები დარჩა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნიკოლოზ აბრამაშვილის ძმების, თანამებრძოლებისა და მეგობრების მცდელობამ შედეგი გამოიღო. ყველა უტყუარი დოკუმენტის შესწავლით დადგინდა კაპიტან ნიკოლოზ აბრამაშვილის გმირობა და კიდევაც მიანიჭეს რუსეთის გმირის წოდება.

დიახ, ჩვენმა თანასოფლელმა, რომელმაც ახალგაზრდობაში ლაღი ცხოვრების გარდა, სამხედრო პროფესია აირჩია და საშინელი ომის პირველივე დღეებიდან მტერთან უთანასწორო ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას. ჩამოაგდო 15-ზე მეტი გერმანული თვითმფრინავი, დააზიანა ან ააფეთქა მტრის საწყობები, მძიმე ტექნიკა, 4-ჯერ დაიჭრა, მაგრამ არასოდეს მიუტოვებია თავისი მეგობრები. საგაზეთო მასალაში ყველაფერს ვერ იტყვი სახელოვანი გმირის შესახებ, მაგრამ ჩვენ, ახალდაბელები ასე არ უნდა ვუფრთხილდებოდეთ დიდი ომის მონაწილეთა ხსოვნას?!

**თემურ ხუხუნაიშვილი**

**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

**მოგზაურის შთაბეჭდილებები**

# აღთქმა, სევდა, სინანული და იმედი

**მეორე დილით** ჭოროხის აუზში, ისტორიულ პარხალში – X საუკუნის „ოთხთას“ კომპლექსის დასათვალიერებლად გავემგზავრეთ, სადაც მთავარი ტაძარი, სატრაპეზო და სემინარია დღემდეა შემორჩენილი. „ოთხთას“ ტაძრამდე მამა არჩილი კლდეზე წამომართულ კავკასიძეების ციხეს გვაჩვენებს, რომელიც ამაყად გადმოჰყურებს ძირძველი მოსახლეობიდან დაცლილ არე-მარეს... კავკასიძეები, რომლებიც პარხალის მფლობელები იყვნენ და როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ „ოთხთა“ ტაძარიც მათი აგებული უნდა ყოფილიყო...

„ოთხთას“ სახელთან რამდენიმე მოსაზრებაა ცნობილი:

1. ამ მხარის უდიდესი ტაძრების – ოშკის, ხახულისა და იშხანის შემდეგ – „ოთხთა“ სწორედაც მეოთხეა თავისი სიდიდით...

2. მართლმადიდებლურ სამყაროში ოთხი სახარებაა და სახელებიც მათ უკავშირდებაო...

3. ლეგენდის თანახმად ტაძარი უცნობი მეფის ასულ თამარს აუშენებია, რომელსაც ერთ დღეში, თავისი თეთრი რაშით, ოთხივე ტაძრის მონახულება-მოლოცვა შეეძლოო. მამას – ყველა შვილის ისლამზე მოქცევის შემდეგ – მართლმადიდებლად დარჩენილი თამარისთვის ტაძრის დასამთავრებლად თანადგომა არ გაუწევია, მას თავისი თმა მოუჭრია, გაუყიდია და მშენებლობა დაუმთავრებია, ტაძარში თამარის ხელის ანაბეჭდიცაა შემორჩენილიო.

„ოთხთასთან“ მისული – მისი მშვენიერებით აღტაცებული, სინანულით, სევდით ვივსებით, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ჩვენი აღარაა... და აქ – ბაზილიკაში, წლების განმავლობაში, წყალს ტონობით მიწა შეუტანია და აქ, სადაც საკურთხეველი საკმაოდ ღრმადაა მიწაში ჩაფლული, განძის მაძიებლებს მთლიანად გადაუთხრიათ... და აქ – ჩვენმა მამაოებმა სასწაული მოახდინეს – ალბათ, საუკუნეების შემდეგ, მამა არჩილის შემთხვევაში კი სულ პირველად „ოთხთაში“ ღვთისმსახურება შედგა...

**გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ბორჯომი“ №30, 2022 წელი**

ქართული მონუმენტური მხატვრული ფერწერის უმნიშვნელოვანეს, საზეიმო ხასიათით გამორჩეულ, ოსტატობით გამოკვეთილ, ხაზებითა და ფერებით ოდესღაც ამეტყველებულ ტაძარს – ღვთისმსახურთა ლოცვა-ვედრება ალაღებს და ახარებს... თითოეული ჩვენთაგანი, (სამწუხაროდ, ზოგიერთი გადაღლის გამო სასტუმროში დარჩა) უბედნიერესნი ვართ, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც უფლის სისხლს და ხორცს ვეზიარეთ ამ ენით აუწერელ, თვალით არნახულ და არგაგონილ ცნობიერება-ყოფიერებაში...

დიდება უფალს... მადლობა მამა არჩილ... მადლობა მამა ვიტალი... მადლობა მამა ათანასე... მადლობა მამა ირაკლი... მადლობა და მადლობა უფალს...



„ახლადდაბადებულნი“, IX საუკუნის მეორე ნახევარში, აშოტ I კურაპალატის შვილიშვილის – დავით დიდი კურაპალატის მიერ აშენებულ ხახულის დიდ გუმბათიან ტაძარში გავემგზავრეთ... ხახული ჩემთვის კიდევ უფრო ახლობელი, კიდევ უფრო გულთან მიმტანია, რამეთუ ერის სიამაყე, 10 წლის გიორგი მთაწმიდელ-ათონელი დედის ძმებმა, ტაძრისის დედათა მონასტრიდან, ხახულში – ერთ-ერთ საუკეთესო კულტურულ-საგანმანათლებლო კერაში მიიყვანეს, საიდანაც იწყება მისი აღმასვლა – ბერად აღკვეცა, საიდანაც მისი ყოველი სუნთქვა და მისი ყოველი ნაბიჯი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე და დღემდე სამშობლოსათვის მსახურებაა...

ხახულის მონასტერი ისტორიულ ტაოში, თორთომის წყლის მარცხენა შენაკადზე, ხახულის წყლის ხეობაში, რამდენიმე კილომეტრეზე გადაჭიმულ და უბნებად დაყოფილ, სახელ-შემორჩენილ სოფელ ხახულის ბოლოშია.

ხახულის წყალზეა ძველთაგან შემორჩენილი ხიდი, რომელსაც დღემდე „თამარის ხიდს“ ეძახიან...

ხახულის მთავარ ტაძარს გარს ერტყა მცირე ეკლესიები, რომელთაგან 5 გალავანს შიგნით, 3 კი გალავანს გარეთ იდგა. მაჰმადიანებს ტაძარი მეჩეთად გადაუკეთებიათ, რასაც მისთვის სიცოცხლე შეუნარჩუნებიათ...

ტაძარი ღია დაგვხვდა, იძულებულნი გავხდით ფეხსაცმელი გაგვეხადა და ფეხშიშველნი შევსულიყავით, თუმცა გულდათუთქულნი მალევე გამოვბრუნდით...

ლეგენდად ქცეულ ამბავს მივყევით და ჯერ ტაძრის შიგნით, მერე კი ტაძრის გარე ფასადზე დავიწყეთ ხელის მტევნის შესატევი ხვრელის მოძიება, რომელიც ყველანაირ ჩანაფიქრს, ყველანაირ ნატვრას გვისრულებდა... ვნახეთ კიდეც შიგნითაც და გარეთაც...

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცვანებული ღვთისმშობლის კარედი ხატი რომ ხახულიდანაა და მას ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი ჰქვია, ვფიქრობ, ყველა ქართველმა იცის და ყველას საყვარელი ხატია, მიუხედავად დროთა განმავლობაში მისი განძარცვისა...

ხახულიდან X საუკუნის შუა წლების ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს სამონასტრო ცენტრში – ოშკში გავემგზავრეთ, რომელიც იმ პერიოდის ოთხი კათედრალიდან – სვეტიცხოველი, ბაგრატი, ალავერდი პირველი იყო თავისი სიდიდით და სიდიადით – სიგრძე – 38,5მ. სიგანე – 36 მეტრი და სიმაღლე 40 მეტრი – ნაგები მოყვითალო-წითელი, წმინდად თლილი ქვით – ჯვრის ფორმითა და ოთხ სვეტზე დაყრდნობილი გუმბათით...

იქ, სადაც თორთუმის წყალი, თორთუმის – 1791 წელს შემთხვევითი დაგუბების შედეგად წარმოქმნილ ტბას ერთვის, მარცხენა მაღალ ნაპირზე წამომართულ ოშკის ტაძართან ვართ, ტრანსპორტიდან გადმოსვლა და თავსხმა შხაპუნა წვიმით – მოზღვავებული ცრემლებით შემოგვეგება ტაძრის ამშენებელნი, თუ ჩვენი მიწა-წყლისთვის ჩახოცილი ვაჟკაცები...

**ვიოლეტა ბალახაშვილი**

(გაგრძელება იქნება)

# ვულოცავთ!
## სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს



მთელი გულით და თბილი სიტყვებით მინდა მივულოცო 70 წლის იუბილე ქალბატონ **ვიოლეტა ბალახაშვილს**, რომელმაც ჩვენი სამი სოფლის მომავალ თაობებს განძად დაუტოვა საბავშვო ბაგა-ბაღი. მის მოწესრიგება-მოვლაში ქალბატონ ვიოლეტას ლომის წილი მიუძღვის. ეზო, რომელზეც დგას დღეს ბაგა-ბაღის კეთილმოწყობილი შენობა ეკალ- ბარდებით იყო გადავლილი. დიდი შრომის შედეგად როგორც ეზო, ასევე შიდა ფასადი მოაწყო და გაალამაზა. ბაგა-ბაღმა დამსახურებული ავტორიტეტი მოიხვეჭა მოსახლეობაში. რამდენიმე წლის შემდეგ ქალბატონი ვიოლეტა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად დანიშნეს, ხოლო ბაგა-ბაღში ხელმძღვანელად მუშაობამ მე მომიწია. 30 წლის მანძილზე მეც ვცდილობდი ჩემს კოლექტივთან ერთად არ შემერცხვინა ბაღის დამსახურება.

ქალბატონი ვიოლეტა გამოირჩევა უდიდესი ორგანიზატორული უნარით, მუდამ ახლის ძიებაშია, ამასთან ოჯახის დიდი დიასახლისია, აღზარდა სამი შვილი - რიტა, რატი და ვასიკო, რომლებიც უაღრესად თბილი, კაცთმოსიყვარულე, ზრდილი და კულტურული ახალგაზრდები არიან. საუკეთესო რძლების შესანიშნავი დედამთილი, სიძისთვის - ერთგული სიდედრი და 10 შვილიშვილის დამსახურებული ბებიაა.

ქალბატონი ვიოლეტა ტაძრისის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობს ტაძრის აქტიური და მზრუნველი მრევლია. დიდი შრომა გასწია ტრადიციად ექცია სახალხო დღესასწაული მთაწმინდელობა. ამაში დამემოწმება ამავე ტაძარში მოღვაწე უაღრესად კეთილი და უპატიოსნესი ახალგაზრდა მღვდელი მამა პანტელეიმონი. მადლობა მას ამ დიდი ღვაწლისათვის, ისტორიული ტაძრის აყვავებისათვის. ამასთან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა სამი სოფლის მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაში. მე პირადად მრევლისა და ბაგა-ბაღის კოლექტივის სახელით მადლობას ვუხდი ქალბატონ ვიოლეტას ჩვენდამი გამოჩენილი უდიდესი ყურადღებისათვის. იხარე და იბედნიერე ჩვენო „დედა ტერეზავ“. გვეამაყები და გვეიმედები.

წარმატებები და წელთა სიუხვე არ მოგკლებოდეს.

ყოფილი ბაგა-ბაღის გამგე **ნინო მელიქიძე**

P.S. მიზეზთა გამო წერილი დაგვიანდა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით.

# წერილი რედაქციას

მინდა გაზეთ „ბორჯომის“ საშუალებით ულრმესი მადლობა გადავუხადო ყველა იმ პიროვნებას და ორგანიზაცია-დაწესებულების თანამშრომლებს, რომლებმაც მომილოცეს დაბადების 70-ე წლისთავი, რითაც გამახარეს როგორც მე, ასევე ჩემი ოჯახი.

ამ ორგანიზაცია-დაწესებულებას შორის, რასაკვირველია, არის გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაც. მაქვს ერთი შენიშვნაც. ჩემდამი მიძღვნილ გვერდში, წერილში სათაურით *„ქალაქის კოლორიტი“* დაშვებულია უზუსტობა: თითქოს მე იძულებით დამატოვებინეს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის თანამდებობა. ეს არ შეესაბამება სიმართლეს. მე ჩემი ნებით და გადაწყვეტილებით დავტოვე აღნიშნული თანამდებობა, რათა მონაწილეობა მიმეღო ჩემი მშობლიური სოფლების: ტაძრისის, საკირის და დგვარის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში. როგორც წინა, ისე ახლანდელ არჩევნებში საკმაოდ მაღალი პროცენტით გავიმარჯვე, რის გამოც ასევე დიდ მადლობას მოვახსენებ ჩემს ამომრჩევლებს. ხალხისადმი სამსახურის ამ ახალ ამპლუაში თავს არ დავზოგავ, ღირსეულად ვემსახურო ჩემს ხალხს.

**ვიოლეტა ბალახაშვილი.**

# პატარა დამსვენებლების ინიციატივა

**ბორჯომში,** ახალ უბანის ტერიტორიაზე გრიგოლ ხანძთელის №1 სახლში მცხოვრებმა ადგილობრივმა და დასასვენებლად ჩამოსულმა ბავშვებმა საკუთარი ინიციატივით ნაგვისაგან დაასუფთავეს ტყის მიმდებარე ტერიტორია. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში გავრცელდა, სადაც საზოგადოებას თხოვნით მიმართავდნენ:

- გთხოვთ ეს ინიციატივა მიიღოთ და გაავრცელოთ გამოწვევად განსაკუთრებით ბავშვებში და მიმდინარე პოსტზე დადოთ თქვენს მიერ გასუფთავებული ბუნების სურათები!

სირცხვილია, რომ მუდმივად გვიწევს გაზეთ „ბორჯომის“ ფურცლებზე საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დანაგვიანებულ ტერიტორიებზე სტატიების მომზადება, მაგრამ სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი ვფიქრობ, უფროს თაობებში, განსაკუთრებით მწეველთა საზოგადოებას გამოვყოფდი უფრო მწვავედ დგას ვიდრე ბავშვებსა და ახალგაზრდებში. ნამდვილად სწორი ნათქვამია, რომ აღზრდას საფუძველი პატარაობიდანვე უნდა ჩაეყაროს და არ ვთქვათ „უკვე დაგვიანებულია“.

სიგარეტის ნამწვები მუდმივად ყრია ქუჩაში, მიუხედავად იმისა, უამრავი ნაგვის ურნაა ყოველ ფეხის ნაბიჯზე დამონტაჟებული, ნაგვის წინ დაყრა როგორც ჩანს მავანთ ნაკლებად აწუხებს და სულ ერთია მათთვის ბინძურ გარემოში იქნებიან თუ სუფთა და მოვლილ სკვერებში, ბუნების წიაღში გაისეირნებენ შვილები და შვილიშვილები.

სიხარულის მომგვრელი იყო პატარა დამსვენებლების ეს ინიციატივა, თუმცა უმჯობესია მათ უფროსებმა და ახალგაზრდებმა არ დაუნაგვიანოთ გარემო. და თუნდაც ბავშვებისგან მიიღოთ მაგალითი და ისწავლოთ თუ როგორ ასუფთავებენ და ზრუნავენ ჩვენი ბორჯომის სისუფთავეზე.

ვიამაყოთ და ვიყოთ სისუფთავის მხრივ მისაბაძი ქალაქი და მოვიპოვოთ ყველაზე სუფთა საკურორტო მუნიციპალიტეტის სახელი.

**იზა იანვარაშვილი**


# ცხადდება ვაკანსია

**კომპანია „IDS ბორჯომი საქართველო“ აცხადებს ელექტრიკოსის ვაკანსიას ქ. ბორჯომის ჩამომსხმელ ქარხნებში**

**მოთხოვნები:**

- სასურველია უმაღლესი ან პროფესიული კოლეჯის განათლება ტექნიკური მიმართულებით;
- აუცილებელია მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება მსგავს პოზიციაზე;
- სასურველია ინგლისური და/ან რუსული ენის ელემენტარულ დონეზე ცოდნა;

ვაკანსიის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ ეწვიოთ დასაქმების საიტებს jobs.ge & hr.ge, მოძებნოთ ჩვენი კომპანიის ვაკანსიები და გამოგვიგზავნოთ რეზიუმე ელექტრონულად ან გვეწვიეთ ქარხანაში და თქვენი რეზიუმე ადგილზე დაგვიტოვეთ.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა: 05.09.2022

**ადმინისტრაცია**


# გურამ ელიზბარაშვილის გახსენება



გურამ, 22 აგვისტოს ერთი წელი გავიდა, რაც დატოვე შენი საყვარელი ოჯახი, რომელშიც 77 წელი გაატარე და ოჯახის წევრები დარდში და მწუხარებაში დატოვე. ერთი წელი გავიდა, მაგრამ შენ ისევ დიდ ტკივილად რჩები ჩვენს გულებში და შენი წასვლით მიყენებული იარა კი არ ინკურნება, უფრო ღრმავდება. ძალიან სამწუხარო და სატირალია ოჯახის წევრის დაკარგვა. ერთმა წელმა ძალიან სწრაფად გაიარა შენზე მოგონებებით და ერთი დღეც არ გასულა შენს ოჯახში შენი ხსენება რომ არ იყოს. ალბათ, გახარებული ხარ იმით, რომ 24 წლის უნახავ შვილთან, მშობლებთან და ძმასთან ერთად იმყოფები. ილოცე მანდედან შენი ოჯახისათვის, შენი ახლობლებისთვის, შენი სახელისა და გვარის გამგრძელებელი შვილიშვილისთვის, რომ შენმა სახელმა დიდხანს იარსებოს ჩვენს ოჯახში.

ღმერთს ებარებოდეს შენი კეთილი სული და ნათელში ამყოფოს. ამინ!

იხსენებს **ოჯახი**

## ქართული ჭიდაობა

# ოლეგ ლომიძის სახელობის ტურნირი აქიერიდან ტრადიციული გახდება



**12 აგვისტოს** ახალდაბაში გაიმართა სპორტის ოსტატის, ბორჯომის საპატიო მოქალაქის **ოლეგ ლომიძის** სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ამ მეტად საინტერესო და დიდხანს დასამახსოვრებელ ასპარეზობაში შვიდი მუნიციპალიტეტის (ბორჯომი, ხაშური, ქარელი, გორი, კასპი, ახმეტა, ჭიათურა) 17-18 წლის ახალგაზრდა სპორტსმენები იღებდნენ მონაწილეობას.

შეჯიბრი ოლეგ ლომიძის სახელობის საჭიდაო არენაზე გაიმართა და მაყურებელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ტრადიციული ასპარეზობა ხუთ წონით კატეგორიაში ჩატარდა (55,66,70 და აბსოლიტურ წონაში).

55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ტურნირის ჩემპიონი გახდა **იაკობ გასიტაშვილი** (ქარელი), მეორე იყო ხაშურელი **მირიან ლურსმანაშვილი,** მესამე კასპელი **გიორგი ხიზამბარელი.**

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი ქარელელი **თემურ სულაბერიძე** იყო, მეორე ადგილი ახმეტელმა **თედო ჩაქიაშვილმა** დაისაკუთრა, მესამე ადგილის პრიზიორი კასპელი **თორნიკე გორჯოლაძე** იყო.

70 კილოგრამიანთა შორის ბორჯომელმა **ვალერი აიწურაძემ** გვასახელა და ჩემპიონობა მოიპოვა, მეორე და მესამე ადგილები ახმეტელებმა **დავით ზუბაშვილმა** და ნ**იკა მორბელიძემ** გაინაწილეს.

აბსოლიტურ წონით კატეგორიაში ივაჟკაცა ქარელელმა **შოთა გოჩიაშვილმა,** რომელმაც ცხვარი და 20 ლიტრიანი ბოცით ღვინო დაისაკუთრა, მეორე-მესამე ადგილებზე კასპელები **სოსო ჟივაძე და დავით ნონიკაშვილი** გავიდნენ.

ყველა გამარჯვებულს გადაეცა თასი და შესაბამისი მედალი და სიგელი.

ტრადიციულ ტურნირზე გამარჯვებულ მოჭიდავეებს საქართველოს ლომიძეების საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარემ **ვალერიან ლომიძემ** საპატიო დიპლომები გადასცა.

ამიერიდან სახელოვანი სპორტსმენის და შესანიშნავი მოქალაქის **ოლეგ ლომიძის** ტრადიციული ტურნირრრი ყოველ წელს გაიმართება.

ამჯერად ტურნირის ორგანიზატორები გახლდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტი და ბორჯომის სპორტული სკოლა (დირექტორი **ელიზბარ სტეფნაძე).**

ტრადიციული შეჯიბრი მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარდა, რაშიც დამსახურებული წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელებმა და მსაჯებმა **გია ბერუაშვილმა, გია ბახბახიშვილმა და ბერდია ბახტაძემ,** რისთვისაც ისინი ნამდვილად იმსახურებენ მადლობას და პატივისცემას.

გვწამს, ტრადიციული ტურნირი ხელს შეუწყობს ეროვნული ჭიდაობის პოპულარიზაციას.

**ვალერიან ლომიძე**

# მიეძღვნა ზურაბ დოიჯაშვილის ხსოვნას



**17 აგვისტოს,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, ბორჯომელი მუსიკოსის, **ზურაბ დოიჯაშვილის** ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომელიც კონკრეტულად მის დაბადების დღეს დაამთხვიეს.

ახალი უბნის დასახლებაში, იქ, სადაც ზურაბ დოიჯაშვილი გაიზარდა და თავისი ახალგაზრდობის წლები გაატარა, მისი სახელობის სკვერი ოფიციალურად გაიხსნა. სკვერშივე განთავსდა მემორიალური დაფა, სადაც შემდეგი ტექსტია დატანილი: „ზურაბ დოიჯაშვილის სახელობის სკვერი 1963-2021, ქართველი მომღერალი და პოპულარული სიმღერების ავტორი, მრავალი სატელევიზიო შოუს ვარსკვლავი ზურაბ დოიჯაშვილი წარმოშობით ბორჯომელი გახლდათ. საყოველთაოდ ცნობილია და ხალხისთვის ახლობელია მისი სიმღერები: „მელიქშვილის გამზირი“, „მენატრება თბილისი“, „მარტი“, „ვერ აგისრულე, რასაც დაგპირდი“ და სხვა. იგი დიდი სიყვარულით სარგებლობდა ხალხში, განსაკუთრებით მშობლიურ ბორჯომში. ქართველი ხალხის საყვარელი შემოქმედის სახელობის ვარსკვლავი გახსნილია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის წინ“. მემორიალურ დაფაზე ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზეა შესრულებული. სკვერის გახსნას მომღერლის ახლობლები, ნათესავები, ოჯახის წევრები და ჩამოსული სტუმრები დაესწრნენ.

მომღერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო კი 19 საათიდან უკვე ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში გაგრძელდა.

მსმენელის წინაშე მომღერლის მეგობრები - **ნუგზარ კვაშალი, ვახტანგ ტატიშვილი, ბესიკ კალანდაძე, ზურაბ მანაგაძე, ზურაბ კობეშავიძე, ენრიკო ჯანელიძე, ბადრი ჯანაშვილი, ტატო გოდერძიშვილი** და ჯგუფი **ქუჩის ბიჭები** წარსდგნენ. მომღერალმა **ზურაბ მანაგაძემ** ბატონი ზურას უკვდავი ჰიტი „მელიქშვილის გამზირი“ გააცოცხლა. სიმღერას მსმენელი მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდა. ჯგუფმა „ქუჩის ბიჭებმაც“ შეასრულეს ბატონ ზურასთან ჩაწერილი ბოლო ჰიტი, რომელიც მომღერალმა მათთან გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ჩაწერა.

ღონისძიებას სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილე **ზურა ხაჩიძე,** (ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრი), ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** მერის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მისი მოადგილეები, საკრებულოს წევრები, მომღერლის ოჯახის წევრები და მოქალაქეები ესწრებოდნენ.

**ნატო მელიქიძე**



შვილები მაია, ლევანი მამასტარაშვილები, რძალი ლიკა ცხადაძე, შვილიშვილები დემეტრე, დაჩი, ნია. და მანანა ჩუტკერაშვილი, დისშვილები ზურა, თეა რაზმაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლეილა ილიას ასული ჩუტკერაშვილი**

დაიკრძალა 18 აგვისტოს. ახალი უბანი რობაქიძის ქ. №13


გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57. borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე